საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № 007542

15 სექტემბერი 2023 წ. ქ. თბილისი

თვითმმართველი ქალაქი/მუნიციპალიტეტი

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის შრომის უსაფრთხოების ზედამხედველობის დეპარტამენტის შრომის უსაფრთხოების ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, შრომის ინსპექტორი [redacted]

ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი და გვარი

2. სამართალდამრღვევი: [redacted] იურიდ. მის. [redacted] ფაქტობრივი მის: [redacted]

სახელი, გვარი, პირადი №, მისამართი ფაქტობრივი/რეგისტრაციის მიხედვით; იურიდიული პირის შემთხვევაში – დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი ფაქტობრივი/რეგისტრაციის მიხედვით, დირექტორი და საკონტაქტო ინფორმაცია

3. მოწმე(ები)/დაზარალებულ(ებ)ი (არსებობის შემთხვევაში):

სახელი, გვარი, მისამართი

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი: 2023 წლის 21 აგვისტოს დილით [redacted]. ფაქტობრივ მისამართზე მის: [redacted] ინსპექტორს „შრომის ინსპექციის" შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნა, და დაუშვა დარღვევა, რაც წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის":

მე-18 მუხლის მე-4 ნაწილი:

5. დარღვეულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" 77-ე მუხლის მოთხოვნა.

მუხლი, პუნქტი, ქვეპუნქტი

6. დარღვევის გამოსასწორებლად მიცემული ვადა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): 30 (ოცდაათი) დღე

7. სახდელის სახე, ოდენობა: გაფრთხილება (ლარი – ჯარიმის შემთხვევაში)

სიტყვიერად

8. დამრღვევის ახსნა-განმარტება:

9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები.

10. ოქმის შემდგენელი: [redacted]

11. სამართალდამრღვევი: ______ / ______ /

სახელი და გვარი ხელმოწერა

12. მოწმე: ______ / ______ /

სახელი და გვარი ხელმოწერა

13. დაზარალებული: ______ / ______ /

სახელი და გვარი ხელმოწერა

14. დოკუმენტები, რომლებიც ერთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს: 2023 წლის 15 სექტემბრის მიმართვა №007507/ო

საქმის გადასაწყვეტად საჭირო ცნობები, მასალები და ა.შ.; დამრღვევის ახსნა-განმარტება ან მის მიერ წარმოდგენილი სხვა მასალები

15. შენიშვნა: [illegible]

16. სამართალდამრღვევი პირის მიერ ხელმოწერაზე ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა:

დამკვეთი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი -„შრომის ინსპექციის სამსახური."

დამამზადებელი: შპს კაბადონი+

სემგს-ს რეგისტრაციის №35-5919

**შენიშვნა**

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე; თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; კანონმდებლობით დადგენილი 10 კალენდარული დღის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლით დადგენილი წესით გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება) ოქმის შემდგენლის ზემდგომ თანამდებობის პირთან (მის.: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. N15ა), რომლის გადაწყვეტილება საჩივრდება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

**გაფრთხილება!**

„შრომის ინსპექციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად დამრღვევმა ჯარიმა ნებაყოფლობით უნდა გადაიხადოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებიდან (გაცნობიდან) 30 კალენდარული დღის განმავლობაში შემდეგ საგადახდო რეკვიზიტებზე: მიმღები-ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE22; სახაზინო კოდი - 302003555.

30 კალენდარული დღის ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით, ხოლო საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება საჯარიმო სანქციისა და დარიცხული საურავის გადახდის იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

„შრომის ინსპექციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას სამართალდარღვევის ოქმი და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილება ჩაბარებულად ჩაითვლება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.moh.gov.ge) ან/და სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვეყნების დღიდან.

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,**
**ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს**
**სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური**

**მ ი თ ი თ ე ბ ა № 007542/ო**

**შედგენის თარიღი: 15 სექტემბერი 2023 წ.**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" 75-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „შრომის ინსპექციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, შრომით ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის (შემდგომში - „შრომის ინსპექცია") შრომითი უფლებების ზედამხედველობის დეპარტამენტის შრომით უფლებებზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის (შრომის ინსპექტორი) [redacted] და სამუშაო ადგილებზე დისკრიმინაციის, სექსუალური შევიწროების აკრძალვისა და გენდრული თანასწორობის საკითხებზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის (შრომის ინსპექტორი) [redacted] მიერ, 2023 წლის 21 აგვისტოს დაიწყო შემდეგი ორგანიზაციის ინსპექტირება:

**ორგანიზაციის დასახელება:** [redacted]
**დირექტორი:** [redacted]
**საიდენტიფიკაციო ნომერი:** [redacted]
**იურიდიული მისამართი:** [redacted]
**ფაქტობრივი მისამართი:** [redacted]
**ეროვნული კლასიფიკატორი:** დასაქმების სააგენტოების საქმიანობები 78.10.0

შრომის ინსპექციის მიერ ინსპექტირების დაწყების საფუძველი გახდა, მოქალაქე [redacted] 2023 წლის 17 ივლისის N748523 განცხადება, რომელიც შეეხებოდა [redacted]-ში მის მიამრთ შესაძლო შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტს.

აღნიშნული საჩივრის საფუძველზე, 2023 წლის 21 აგვისტოს განხორციელდა [redacted]-ს ნაწილობრივი არაგეგმური ისნპექტირება მისამართზე: [redacted] რაზეც სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მთავარი შრომის ინსპექტორის მიერ გამოცემული იქნა 2023 წლის 23 აგვისტოს N LIO 6 23 00000704 ბრძანება.

ინსპექტირების ფარგლებში, საჩივრის შესწავლის მიზნით, საზედამხედველო ორგანოს მიერ კომუნიკაცია განხორციელდა როგორც საჩივრის ავტორთან, ასევე დამსაქმებელთან და დასაქმებულებთან.

ზემოაღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღებით და ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად, გამოვლენილ დარღვევებზე გაიცა შემდეგი მითითებები:

| № | გაცემული მითითება |
|---|---|
| 1. | **დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი**<br><br>როგორც ინსპექტირების მიმდინარეობისას გაირკვა დამსაქმებელსა და საჩივრის ავტორს შორის არ ყოფილა გაფორმებული სტაჟირების ხელშეკრულება.<br><br>დამსაქმებელის განცხადებით, სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე მუდმივ სამუშაო ადგილზე შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე, კანდიდატები, სტაჟირების პერიოდში გადიან სპეციალურ სწავლებას რა დროსაც სააგენტოში დასაქმებულთა დახმარებით ეცნობიან სამუშაო პროცედურებს და სპეციფიკას, ასევე სპეციალურ სამუშაო ელექტრონულ პროგრამას, რომლის მეშვეობითაც სააგენტოს მხრიდან ხდება სამუშაოს მაძიებლებთან კონტაქტი, შესაბამისი დოკუმენტაციის შეგროვების და დასაქმების მიზნით. როგორც დამსაქმებელმა აღნიშნა, სწავლების ეს პერიოდი იყოფა ორ ეტაპად. პირველი ეტაპი მოიცავს სწავლების 2 კვირიან ვადას და არ არის ანაზღაურებადი, ვინაიდან კანდიდატის მიერ ძირითადად ხდება სააგენტოს პროგრამაში მუშაობის შესწავლა დასაქმებულების დახმარებით, მათივე პერსონალური „ადმინი"-ს (ადმინისტრატორის გვერდი) გვერდზე. მას შემდეგ, რაც სტაჟიორი გაივლის აღნიშნული სწავლების პირველ ეტაპს და დასაქმების ელექტრონულ სისტემაში სააგენტო გაუხსნის დამოუკიდებელ პეროსნალურ „ადმინს" (ადმინისტრატორის გვერდი), სტაჟიორის ანაზღაურება განისაზღვრება ყოველ დასაქმებულ პირზე 100 ლარით, ხოლო მას შემდეგ რაც სტაჟიორი სრულად გაივლის სტაჟირებას და სააგენტო მას აიყვანს მუდმივ საშტატო ერთეულზე, გამომუშავებით ანაზღაურებას ემატება ფიქსირებული ხელფასი. დამსაქმებლის განცხადებით, სწავლების-სტაჟირების სავალდებულო ეტაპი გავლილი აქვს ყველა ამჟამად დასაქმებულ თანამშრომელს, რაც გასაუბრებისას ასევე დაადასტურეს დასაქმებულებმა.<br><br>დამსაქმებელთან და დასაქმებულებთან გასაუბრებით ასევე გაირკვა, რომ სააგენტოში დასაქმებისთვის სავალდებულო ზემოაღნიშნული ეტაპები ასევე ზეპირად იქნა |

შეთანხმებული საჩივრის ავტორთან და მისთვის ცნობილი იყო, რომ მხოლოდ სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულების შემდეგ გახდებოდა ანაზღაურებადი მის მიერ შესრულებული სამუშაო. როგორც სააგენტოში განაცხადეს, საჩივრის ავტორმა არ დაასრულა სწავლების (სტაჟირების) პერიოდი და ყოველგავრი განმარტებების გარეშე დატოვა სააგენტო.

როგორც, დამსაქმებელთან და დასაქმებულებთან გასაუბრებებით გაირკვა, მუდმივ სამუშაო ადგილზე დასაქმებამდე, კანდიდატი სააგენტოში გადის სწავლების პერიოდს, რაც საქართველოს შრომის კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად წარმოადგენს სტაჟირებას, რა დროსაც დამსაქმებელი ვალდებულია გააფორმოს სტაჟირების ხელშეკრულება მიუხედავად იმისა, სტაჟირება იქნება ანაზღაურებადი თუ ანაზღაურების გარეშე.

საქარველოს შრომის კოდექსის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სტაჟიორი არის ფიზიკური პირი, რომელიც დამსაქმებლისთვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ ან მის გარეშე, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, პროფესიული ცოდნის, უნარის ან პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტი აწესრიგებს სტაჟირების მიზანს და მკაფიო ზღვარს ავლებს სტაჟირებასა და სტანდარტულ შრომით ურთიერთობას შორის. კერძოდ, სტაჟირების მიზანია კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული ცოდნის, უნარის ან პრაქტიკული გამოცდილების მიღება. გამორიცხვის მიზნით კოდექსის ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ზღუდავს დამსაქმებელს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სტაჟიორი ვერ ჩაანაცვლებს დასაქმებულს. თუ სტაჟირების ხელშეკრულება სტაჟირების მიზანთან არ არის შესაბამისობაში და სტანდარტული შრომითი ურთიერთობის შინაარსი იკვეთება, ხელშეკრულებაც შრომითად უნდა დაკვალიფიცირდეს და ურთიერთობაზე გავრცელდეს შრომის კოდექსის ყველა დაცვითი სტანდარტი.

სტაჟირება შეიძლება იყოს ანაზღაურების სანაცვლოდ ან მის გარეშე. სტაჟირების ვადებთან დაკავშირებით შრომის კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილია, რომ ანაზღაურებისგარეშე სტაჟირების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს, ხოლო ანაზღაურებადი სტაჟირების ვადა – 1 წელს. პირს უფლება აქვს, ერთსა და იმავე დამსაქმებელთან ანაზღაურებისგარეშე სტაჟირება გაიაროს მხოლოდ ერთხელ.

შრომის კოდექსის თანახმად, მნიშვნელოვანი პირობაა, რომ სტაჟირების პერიოდში დამსაქმებელსა და სტაჟიორს შორის ურთიერთობებს აწესრიგებდეს წერილობითი შრომითი ხელშეკრულება, სადაც დეტალურად უნდა იყოს აღწერილი სტაჟიორის მიერ

შესასრულებელი სამუშაო. ხელშეკრულების შინაარსთან დაკავშირებით შრომის კოდექსის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი ასევე ადგენს, რომ სავალდებულოა დამსაქმებელმა ხელშეკრულებაში ასახოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული დაცვის ყველა მინიმალური სტანდარტი გარდა, კოდექსის VII თავით განსაზღვრული პირობებისა (შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო, შვებულება ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო) და 48-ე მუხლით (შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი) გათვალისწინებული მოთხოვნებისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, მ.ლ. დღეის მდგომარეობით აღარ წარმოადგენს [redacted]სტაჟიორს (ან დასაქმებულ პირს), ორგანიზაცია მოკლებულია შესაძლებლობას მის ნაწილში განახორციელოს ცვლილება და ხელშეკრულების გაფორმება. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე გარემოება შესაძლებელია განმეორდეს მომავალში ორგანიზაციაში სტაჟირების მსურველ კანდიდატებთან, დამსაქმებლი ვალდებულია აღნიშნული დარღვევა გამოასწოროს და სტაჟიორთან გააფორმოს წერილობითი ხელშეკრულება სტაჟირების თაობაზე.

**ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, დამსაქმებელი ვალდებულია სტაჟიორთან წერილობითი ფორმით გააფორმოს შრომითი ხელშეკრულება, დეტალურად ასახოს მასში სტაჟიორის მიერ შესასრულებელი სამუშაო და ასევე გაითვალისწინოს საქართველოს შრომის კოდექსის მე-18 მუხლით დადგენილი ყველა პირობა.**

<u>მითითების გამოსასწორებელი ვადა შეადგენს 30 კალენდარულ დღეს.</u>

საქართველოს შრომის კანონმდებლობის დაცვის შემოწმების განმახორციელებელი შრომის ინსპექცია, გაცემული მითითებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ამოწმებს სამართალდამრღვევს, რის შესახებაც დგება შემოწმების აქტი.

შემოწმების აქტში აღინიშნება ორგანიზაციის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ:

ა) მითითება შესრულდა;

ბ) მითითება არ შესრულდა.

მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საქართველოს შრომის კანონმდებლობის შემოწმების განმახორციელებელი სამსახურის უფლებამოსილი პირი იყენებს შესაბამის ადმინისტრაციულ სახდელს და აღნიშნავს მას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში.

მითითება ჩაიბარა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი):

ახსნა-განმარტება მითითებასთან დაკავშირებით:

სამართალდამრღვევი პირის მიერ მითითების ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა:

სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის უფლებამოსილი პირ(ები)ის ხელმოწერა:

[redacted]

სამართალდამრღვევის ან მისი წარმომადგენლის ხელმოწერა: